



აქაქი წარუთლის
სახელმწიფო უნივერსიტატი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამართლის დეპარტამენტი

ს ა მ ა რ თ ლ ი ს

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

„დამტკიცებულია“

რექტორი პროფ. გიორგი ღავთაძე
აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 17
7 ივნისი 2011 წელი

„შეთანხმებულია“:

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი
პროფ. კონსტანტინე სირბილაძე

ფაკულტეტის დეკანი ასოც.პროფ. გოდერძი ვაჭრიძე
ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 17
31 მაისი 2011 წელი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი ასოც.პროფ. ინგა აბრამიძე

სამართლის დეპარტამენტის კოორდინატორი
პროფ. მამუკა შენგელია
დეპარტამენტის სხდომის ოქმი № 5
19 მაისი 2011 წელი

1. **პროგრამის სახელწოდება:** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)
3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 ECTS. სავალდებულო კომპონენტების გარდა, სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს ერთ-ერთი შემდეგი მიმართულება: კერძო სამართალი, საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი და განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნების კონცენტრაციით.
4. **პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი მამუკა შენგელია
5. **სწავლების ენა:** ქართული
6. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის:
 - 6.1 სამართლებრივი საკითხების არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრებას; სამართლის ძირითად დარგებში კანონმდებლობისა და სამართლებრივ ნოვაციათა დაუფლებას; პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობას;
 - 6.2 სპეციალობის დისციპლინათა შესწავლის საფუძველზე იურიდიული მეცნიერების საფუძველმდებარე პრინციპების, ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების გაცნობას და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გაღრმავება-განმტკიცებას, ყოველივეს საფუძველზე კი იურისტის საქმიანობისათვის აუცილებელი კომპლექსური ხედვისა და პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება-განმტკიცებას;
 - 6.3 სტუდენტს სამართლის საკითხების გარდა, ეძლევა შესაძლებლობა, დაეუფლოს სამართლის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და ეკონომიკურ ასპექტებს.
 - 6.4 სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოეთხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამავდროულად, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე. ამასთან ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი წინაპირობები. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის პროფესიის დაუფლების საშუალება, როგორც საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი, ისე კერძო თუ საჯარო სექტორში დასაქმებული იურისტისათვის.
7. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოებს შორის შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

8. სწავლის შედეგები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის - სიღრმისეული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის. კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.</p>	<p>განიხილავს და აანალიზებს ეროვნული სამართლის სისტემის ისტორიულ განვითარებასა და დღევანდელობას დროისა და სივრცის კატეგორიების მიხედვით; განსაზღვრავს ეროვნული სამართლის სისტემის შემადგენელ სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს და აკავშირებს მათ ძირითად სამართლებრივ სისტემებთან და სამართლის ოჯახებთან; შეუძლია ეროვნული სამართლის სისტემის შემადგენელი სამართლის ცალკეული დარგების შესაბამისი მატერიალური და პროცესუალური ინსტიტუტების სიღრმისეული ფორმულირება; განსაზღვრავს და აფასებს სამართლის მეცნიერების საფუძველმდებარე ფუნდამენტურ პრინციპებსა და კონცეფციებს, ფასეულობებსა და ღირებულებებს; განიხილავს და იყენებს სამართლის მეცნიერების დარგთაშორისი და მომიჯნავე მეცნიერებათა შორის კავშირებს; ანალიზებს სამართლებრივი თეორიების ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ახდენს მათ ფორმულირებას და შეფასებას; განმარტავს სამართლის ძირითადი პრინციპებს, ისტორიულ, თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებულ საჭირო წყაროებს .</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა.</p>	<p>შეუძლია დასახული ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის შეფასება, წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების ცალკეული კომპონენტების შემუშავება და პრაქტიკული ხასიათის ამოცანების კომბინირება; კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ახდენს წამოჭრილი ცხოვრებისეული შემთხვევის სწორ შეფასებას და სათანადო ქმედების განხორციელებას.</p>

დასკვნის უნარი	აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.	შეუძლია სამართლებრივი საკითხებისადმი დამოუკიდებლად კრიტიკული დასკვნების გამოტანა; კონკრეტული გადაწყვეტილების შედეგების შესახებ მსჯელობის დასაბუთება; მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება და სათანადო დასკვნების შემუშავება; აზრის ლაკონურად და გასაგებად ჩამოყალიბება; ახალი ინფორმაციის მიღება, შერჩევა და თვითანალიზის საფუძველზე ახლებურად ფორმულირება; ცოდნაზე დამყარებული დასკვნების გამოტანის ხერხებისა და მეთოდების განსაზღვრა; პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების ფარგლებში კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპრეტირების ხერხებისა და მეთოდების ერთმანეთთან დაკავშირება; სამართლებრივი საკითხებიდან აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე სათანადო დასკვნების გამოტანა.
კომუნიკაციის უნარი	აქვს ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენაზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემის უნარი.	იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით შეუძლია უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია, თავისი აზრის დამაჯერებლად და დასაბუთებულად გამოხატვა; რეფერატული სახის შრომის პრეზენტაცია; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით თითოეული კურსის გავლისას, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მასალის გამოყენების საფუძველზე საჭირო ინფორმაციის მოძიება, ჩამოყალიბება და შეჯამება.
სწავლის უნარი	აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.	შეუძლია საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის და მეცნიერული სიახლეების გამოყენებით საკუთარი ცოდნის შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა; სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის ახალი მიდგომების დანერგვისათვის საჭირო სტრატეგიების გამოყენება და თავისი ცოდნის გაცნობიერება; სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი ხედვა და კრიტიკული ანალიზი; ინფორმაციის წყაროების დადგენა, მიღება, შენახვა, დამუშავება, გადაცემა ან გამოყენება; სწავლის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება; სამართლის სფეროში მიმდინარე სიახლეთა მუდმივად გადამოწმება.

<p>ღირებულებები</p>	<p>იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.</p>	<p>აცნობიერებს განსხვავებული აზრისათვის, ოპონენტის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენისათვის პატივისცემას; იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; იურიდიულ პროფესიაში ეფექტურად და ღირსეულად საქმიანობისათვის ადასტურებს სამართლიანობის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, რელიგიური, მორალური თუ ეროვნული ფაქტორების მაღალზნებრივ და კომპეტენტურ ცოდნას, პროფესიული ღირებულებების და ვალდებულებების გააზრებას; უზრუნველყოფს ეთიკური სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას, ცალკეულ სამართლებრივ გადაწყვეტილებათა შემუშავება-ჩამოყალიბების პროცესში ან ზეპირი კომუნიკაციის დროს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის სტრატეგიის გამოყენებას; თავდაჯერებულობასა და თავმდაბლობას შორის ბალანსის განსაზღვრას; საკუთარი თავის პატივისცემაზე და გამოხატვის თავისუფლებაზე დაფუძნებული პროფესიის დემონსტრირებას.</p>
---------------------	--	---

9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

საკონტაქტო: პასიური და აქტიური (სალექციო ფორმით);
ინტერაქტიური (სამუშაო ჯგუფში მუშაობა);
სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა;
სწავლების პროცესში გამოიყენება:

9.1 სოკრატეს მეთოდი:

- კრიტიკული აზროვნების უნარის განსავითარებლად დისკუსიაში სტუდენტთა დიდი ჯგუფის ჩართვა;
- საკუთარ და სხვა პირთა არგუმენტებზე კრიტიკული ხედვის უნარის განვითარება;
- ყოველდღიური მეცადინეობისათვის წინასწარი გაფრთხილების გარეშე სტუდენტთა გამომახება;
- საკითხების აქტიურ განხილვაში მონაწილეობის მოულოდნელობის ეფექტი;

9.2 ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:

- სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია;

9.3 წიგნზე მუშაობის მეთოდი:

- დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით;

9.4 წერიტი მუშაობის მეთოდი:

- ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება;

9.5 ჯგუფური (collaborative) მუშაობა:

- სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა და სასწავლო დავალების მიცემა;
- საკითხის ინდივიდუალურად დამუშავება და პარალელურად ჯგუფის დანარჩენი წევრებისათვის გაზიარება;
- სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილების სტრატეგია;

9.6 შემთხვევის ანალიზი (Case study):

- კონკრეტული შემთხვევის განხილვა, საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა;

9.7 გონებრივი იერიში:

- კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბება და გამოთქმის ხელშეწყობა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისაგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

9.8 როლური და სიტუაციური თამაშები:

- სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება ალტერნატიული პოზიციის ჩამოყალიბებაში და მის დაცვაში;

9.9 ახსნა–განმარტებითი მეთოდი:

- მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.

10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული

შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
 4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
 5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს. კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე.
 6. შეფასების სისტემით დასაშვებია:
 - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
 7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
 8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

11. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი: აწსუ სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრები, იურიდიული კლინიკა, კრიმინალისტიკის ლაბორატორია. პროგრამას ახორციელებს აწსუ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები: 3 - სრული პროფესორი; 6 - ასოცირებული პროფესორი; 5 - დოქტორი (აქედან 3 -ასისტენტ პროფესორი); 7 - დოქტორანტი; 11- სპეციალისტი.

12. სასწავლო გეგმა:

5 კრედიტი - 125 საათი

2.2.3	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	3	30/15/80	5			X						2.2.1
2.2.4	საერთაშორისო საჯარო სამართალი	3	30/15/80	5				X					2.2.2
2.2.5	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	3	30/15/80	5					X				2.2.3/2.1.7
სულ:		15	150/75/400	25									
2.3	სისხლის სამართალი												
2.3.1	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი	3	30/15/80	5		X							
2.3.2	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები)	3	30/15/80	5			X						2.3.1
2.3.3	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)	3	30/15/80	5				X					2.3.2
2.3.4	სისხლის სამართლის პროცესი	3	30/15/80	5					X				2.3.3
სულ:		12	120/60/320	20									
2.4	სამართლის საფუძვლები და მეთოდები												
2.4.1	შესავალი სამართალმცოდნეობაში	3	30/15/80	5	X								
2.4.2	ქართული სამართლის ისტორია	3	30/15/80	5	X								
სულ:		6	60/30/160	10									
3	სპეციალიზაციის მოდულების კურსები *												
3.1	კერძო სამართალი												
3.1.1	დაზღვევის სამართალი	2	15/15/95	5						X			2.1.7
3.1.2	ფასიანი ქაღალდების სამართალი	2	15/15/95	5						X			2.1.7
3.1.3	საბანკო სამართალი	2	15/15/95	5						X			2.1.7
3.1.4	გაკოტრების სამართალი	2	15/15/95	5						X			2.1.4/2.1.7
3.1.5	სანოტარო სამართალი	2	15/15/95	5							X		2.1.7

3.1.6	სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში	3	0/45/80	5								X		2.1.7
3.1.7	სანივთო სამართლებრივი დავების განხილვის სპეციფიკა	3	0/45/80	5								X		2.1.7
3.1.8	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	3	30/15/80	5								X		2.1.4
3.1.9	საერთაშორისო კერძო სამართალი	2	15/15/95	5									X	2.1.7/2.2.4
3.1.10	მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	2	15/15/95	5									X	2.1.7
3.1.11	სამომხმარებლო სამართალი	2	15/15/95	5									X	2.1.4/2.1.5
3.1.12	კერძო დავების გადაწყვეტა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში	3	0/45/80	5									X	2.1.7
სულ:		28	150/270/1080	60										
3.2	საჯარო სამართალი													
3.2.1	ნორმატიული აქტების სამართალი	2	0/30/95	5								X		2.2.2/2.2.4
3.2.2	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	3	30/15/80	5								X		2.2.1
3.2.3	საარჩევნო სამართალი	3	30/15/80	5								X		2.2.1
3.2.4	მუნიციპალური სამართალი	3	30/15/80	5								X		2.2.1
3.2.5	საფინანსო სამართალი	3	30/15/80	5									X	2.2.5
3.2.6	სამოხელეო სამართალი	2	15/15/95	5									X	2.2.1
3.2.7	სააღსრულებო სამართალი	2	15/15/95	5									X	2.2.5
3.2.8	ეკოლოგიური სამართალი	3	30/15/80	5									X	2.2.5
3.2.9	საგადასახადო და საბაჟო სამართალი	3	30/15/80	5										X
3.2.10	მართლწესრიგის სამართალი	2	15/15/95	5										X
3.2.11	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	3	30/15/80	5										X
3.2.12	სახელმწიფოთა ტერიტორიული მოწყობის თანამედროვე მოდელები	2	15/15/95	5										X

სულ:		31	270/195/1035	60											
3.3	სისხლის სამართალი (60 კრედიტი)														
3.3.1	კრიმინოლოგია	3	30/15/80	5								X			2.3.4
3.3.2	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია	2	15/15/95	5								X			2.3.3
3.3.3	კრიმინალისტიკა	3	30/15/80	5								X			2.3.4
3.3.4	თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე	2	15/15/95	5								X			2.3.1
3.3.5	სამართალწარმოება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში	3	0/45/80	5									X		2.3.4
3.3.6	მტკიცებითი სამართალი	3	30/15/80	5									X		2.3.4
3.3.7	საპროცესო აქტების წარმოება	3	30/15/80	5									X		2.3.4
3.3.8	სასჯელაღსრულებითი სამართალი	3	30/15/80	5									X		2.3.4
3.3.9	ორგანიზებული დანაშაული და ტერორიზმი	3	30/15/80	5										X	2.3.4
3.3.10	საერთაშორისო სისხლის სამართალი	3	30/15/80	5										X	2.2.4/2.3.3
3.3.11	გამოძიებისა და სასამართლო წარმოების საფუძვლები	3	0/45/80	5										X	2.3.4
3.3.12	ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში	3	30/15/80	5										X	2.3.4
სულ:		34	270/240/990	60											
4	არჩევითი კურსები**														
4.1	არჩევითი კურსი - 1	3	30/15/80	5	X										
4.1.1	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია														
4.1.2	ლათინური ენა														
4.2	არჩევითი კურსი - 2	2	15/15/95	5		X									

4.2.1	რომის კერძო სამართალი																		4.1.1		
4.2.2	ლოგიკა																				
4.3	არჩევითი კურსი - 3	3	30/15/80	5				X													
4.3.1	შესავალი სამართლის ფილოსოფიაში																		2.4.1		
4.3.2	საქართველოს ისტორია																				
4.4	არჩევითი კურსი - 4	2	15/15/95	5					X												
4.4.1	სამართლის მეთოდები																		2.4.1		
4.4.2	იურიდიული ფსიქოლოგია																				
4.5	არჩევითი კურსი - 5	3	30/15/80	5						X											
4.5.1	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი																		2.2.4		
4.5.2	პოლიტოლოგია																				
სულ:		13	120/75/430	25																	
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები				25	5	5	5	5	5												
სავალდებულო საბაზისო იურიდიული მოდულები		კერძო სამართალი		45	5	10	10	10	10												
		საჯარო სამართალი		25	5	5	5	5	5												
		სისხლის სამართალი		20		5	5	5	5												
		სამართლის საფუძვლები და მეთოდები		10	10																

სპეციალიზაციის მოდულების კურსები	კერძო სამართალი	60						20	20	20	
	საჯარო სამართალი	60						20	20	20	
	სისხლის სამართალი	60						20	20	20	
ინდივიდუალური პროფილის კურსები***		30						10	10	10	
არჩევითი კურსები		25	5	5	5	5	5				
სულ		240	30	30	30	30	30	30	30	30	

* სტუდენტი VI სემესტრში ირჩევს მხოლოდ ერთ სპეციალიზაციის მოდულს და არჩეული მიმართულებით სწავლას ახორციელებს VII, VIII სემესტრებშიც;

** სტუდენტი I, II, III, IV, V სემესტრებში არჩევითი კურსებიდან ირჩევს მხოლოდ ერთ კურსს;

*** სტუდენტი VI, VII და VIII სემესტრებში არჩეული სპეციალიზაციის მოდულების კურსების გარდა (სემესტრში სავალდებულო 20 კრედიტი), ამავე სემესტრებში სავალდებულო 10 კრედიტის მოცულობით ახდენს ინდივიდუალური პროფილის ფორმირებას სხვადასხვა სპეციალიზაციის მოდულების (კერძო სამართალი, საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი) კურსების კონცენტრაციით.

შენიშვნა:

- ა) VI, VII და VIII სემესტრებში სტუდენტთა შერჩევის საფუძველზე განხორციელდება იურიდიული კლინიკური განათლების პრაქტიკული კომპონენტი დამატებითი 10 კრედიტის მოცულობით ამერიკის იურისტთა ასოციაციის ინიციატივით, თანამშრომლობით და დახმარებით დაარსებულ სამართლის დეპარტამენტის იურიდიულ კლინიკაში;
- ბ) VIII სემესტრში სტუდენტთა შერჩევის საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ (მემორანდუმის საფუძველზე) განხორციელდება პრაქტიკული კურსი საქართველოს საარჩევნო სამართალში დამატებითი 5 კრედიტის მოცულობით;
- გ) VII სემესტრში სტუდენტთა შერჩევის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ (მემორანდუმის საფუძველზე) განხორციელდება პრაქტიკული კურსი სააღსრულებო სამართალში დამატებითი 5 კრედიტის მოცულობით;
- დ) VIII სემესტრში, მხოლოდ პროგრამაში ცვლილებების შემდეგ, ამერიკის იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის პროგრამის ინიციატივით, თანამშრომლობით და დახმარებით განხორციელდება სასამართლო უნარ-ჩვევების სავალდებულო პრაქტიკული კურსი 5 კრედიტის მოცულობით. 5 კრედიტი დაეთმობა ინდივიდუალური პროფილის ფორმირებას.

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ-საათი კვირაში; ლ-ლექცია; პ-პრაქტიკული; დამ/მუშ. - დამოუკიდებელი მუშაობა.

13. კომპეტენციების რუკა:

№	კურსის დასახელება	კომპეტენციების დასახელება					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები						
1.1	ევროპული ენა I	x			x		
1.2	ევროპული ენა II	x			x		
1.3	ევროპული ენა III	x			x		
1.4	ევროპული ენა IV	x	x		x		
1.5	ევროპული ენა V	x	x		x		
2	სავალდებულო საბაზისო იურიდიული მოდულები						
2.1	კერძო სამართალი						
2.1.1	შესავალი სამოქალაქო სამართალში	x	x	x		x	
2.1.2	სანივთო სამართალი	x	x	x		x	
2.1.3	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	x	x	x		x	
2.1.4	სახელშეკრულებო სამართალი	x	x	x		x	
2.1.5	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	x	x	x		x	
2.1.6	საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი	x	x	x		x	
2.1.7	სამოქალაქო სამართლის პროცესი	x	x	x		x	
2.1.8	საკორპორაციო სამართალი	x	x	x		x	
2.1.9	შრომის სამართალი	x	x	x		x	
2.2	საჯარო სამართალი						

2.2.1	კონსტიტუციური(სახელმწიფომოწყობის სამართალი)	x	x	x		x	
2.2.2	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	x	x	x		x	
2.2.3	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	x	x	x		x	
2.2.4	საერთაშორისო საჯარო სამართალი	x	x	x	x		
2.2.5	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	x	x	x	x		
2.3	სისხლის სამართალი						
2.3.1	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი	x	x	x		x	
2.3.2	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები)	x	x	x		x	
2.3.3	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)	x	x	x		x	
2.3.4	სისხლის სამართლის პროცესი	x	x	x			x
2.4	სამართლის საფუძვლები და მეთოდები						
2.4.1	შესავალი სამართალმცოდნეობაში	x	x	x		x	
2.4.2	ქართული სამართლის ისტორია	x		x		x	
3	სპეციალიზაციის მოდულების კურსები						
3.1	კერძო სამართალი						
3.1.1	დაზღვევის სამართალი	x	x	x		x	
3.1.2	ფასიანი ქვალადების სამართალი	x	x			x	
3.1.3	საბანკო სამართალი	x	x				x
3.1.4	გაკოტრების სამართალი	x	x	x		x	
3.1.5	სანოტარო სამართალი	x	x	x	x		
3.1.6	სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში	x	x	x		x	
3.1.7	სანივთო სამართლებრივი დავების განხილვის სპეციფიკა	x	x	x	x		

3.1.8	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	x	x	x			x
3.1.9	საერთაშორისო კერძო სამართალი	x	x			x	
3.1.10	მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	x	x	x			
3.1.11	სამომხმარებლო სამართალი	x	x	x			
3.1.12	კერძო დავების გადაწყვეტა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში	x	x	x	x		
3.2	საჯარო სამართალი						
3.2.1	ნორმატიული აქტების სამართალი	x	x	x			
3.2.2	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	x	x	x		x	
3.2.3	საარჩევნო სამართალი	x	x	x			x
3.2.4	მუნიციპალური სამართალი	x	x	x			x
3.2.5	საფინანსო სამართალი	x	x	x			
3.2.6	სამოხელეო სამართალი	x	x	x	x		
3.2.7	სააღსრულებო სამართალი	x	x	x			x
3.2.8	ეკოლოგიური სამართალი	x	x	x			
3.2.9	საგადასახადო და საბაჟო სამართალი	x	x	x			x
3.2.10	მართლწესრიგის სამართალი	x	x				x
3.2.11	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	x	x			x	
3.2.12	სახელმწიფოთა ტერიტორიული მოწყობის თანამედროვე მოდელები	x	x	x		x	
3.3	სისხლის სამართალი						
3.3.1	კრიმინოლოგია	x		x		x	
3.3.2	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია	x	x	x			x
3.3.3	კრიმინალისტიკა	x	x	x		x	

3.3.4	თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე	x				x	
3.3.5	სამართალწარმოება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში	x	x	x	x		
3.3.6	მტკიცებითი სამართალი	x	x	x		x	
3.3.7	საპროცესო აქტების წარმოება	x	x			x	x
3.3.8	სასჯელადსრულებითი სამართალი	x	x	x			x
3.3.9	ორგანიზებული დანაშაული და ტერორიზმი	x	x				
3.3.10	საერთაშორისო სისხლის სამართალი	x	x	x			
3.3.11	გამოძიებისა და სასამართლო წარმოების საფუძვლები	x	x	x		x	
3.3.12	ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში	x	x	x			
4	არჩევითი კურსები						
4.1	არჩევითი კურსი - 1						
4.1.1	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	x		x			
4.1.2	ლათინური	x	x				
4.2	არჩევითი კურსი - 2						
4.2.1	რომის კერძო სამართალი	x	x	x			x
4.2.2	ლოგიკა	x					
4.3	არჩევითი კურსი - 3						
4.3.1	შესავალი სამართლის ფილოსოფიაში	x		x			
4.3.2	საქართველოს ისტორია	x	x			x	

4.4	არჩევითი კურსი - 4						
4.4.1	სამართლის მეთოდები	x	x	x		x	
4.4.2	იურიდიული ფსიქოლოგია	x	x	x		x	
4.5	არჩევითი კურსი - 5						
4.5.1	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	x	x	x	x		
4.5.2	პოლიტოლოგია	x	x	x		x	

14. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები:

კურსის კოდი: HEB0390

ევროპული ენა 1 - ინგლისური (5კრედიტი)

კურსი მოიცავს: ინგლისური ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებას. ინგლისურად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. მოქმედებით და ვნებით გვარში ზმნების დროითი ფორმების განმტკიცებას, ზმნების უპირო ფორმების ფუნქციების გაცნობას, ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, კითხვის ტექსტის სრულყოფას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. ადაპტირებული ტექსტების და/ან შედარებით მარტივი ორიგინალების კითხვას. ამ საფეხურზე სხვადასხვა თემის ირგვლივ (ერები და ქვეყნები, გარეგნობა, სამუშაო, რელიგია) სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავებას, მოსასმენი მასალის გამოყენებას.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: HFB0870

ევროპული ენა 1 - გერმანული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: გერმანული ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებას. გერმანულად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. გრამატიკის საფუძვლებში მოქმედებით გვარში ზმნების დროითი ფორმების განმტკიცებას, მეტყველების ნაწილების კომუნიკაციაში გამოყენებას, კითხვაში ადაპტირებული ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. ენის ფუნქციებში შემდეგი თემების ირგვლივ (ოჯახი, მეგობრობა, გარეგნობა, კვება, საცხოვრებელი და ა. შ.) სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავებას, მოსასმენი მასალის გამოყენებას მოსმენის ასპექტისათვის. ენის სწავლების პროცესი ამ დონეზე იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს - კომუნიკაციურს, ინტერაქციულს. ეს პროცესი წარიმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: HFB1130

ევროპული ენა 1 - ფრანგული (5კრედიტი)

კურსის მიზანია: სტუდენტს გამოუმუშავდეს სწორი წარმოთქმისა და ინტონაციის უნარები, კითხვის, წერის, გამართული ზეპირი მეტყველების ჩვევები. კურსი მოიცავს ფრანგული ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებას. ფრანგულად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. გრამატიკული მასალის პრაქტიკულ დამუშავებას სავარჯიშოებით, მეტყველების ნაწილების კომუნიკაციაში გამოყენებას, კითხვაში ადაპტირებული ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. ენის ფუნქციებში შემდეგი თემების ირგვლივ (მისალმების ფორმები, ოჯახი, ეროვნებები, ენები, მეგობრობა, გარეგნობა, ადამიანის ხასიათი, საცხოვრებელი და ა. შ.) სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავებას, მოსასმენი მასალის გამოყენებას მოსმენის ასპექტისათვის, ორიგინალური საშუალო სირთულის ტექსტის გაგებას და თხრობას. ენის სწავლების პროცესი ამ დონეზე იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს - კომუნიკაციურს, ინტერაქციულს. ეს პროცესი წარიმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: HSB0520

ევროპული ენა 1 - რუსული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: რუსული ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებას; წერითი და ზეპირი მეტყველების უნარების განვითარებას და გაღრმავებას; სხვადასხვა თემებზე ადაპტირებული ტექსტების თარგმნას, გაანალიზებას და შინაარსის გადმოცემას; ტექსტების დამუშავებას; დისკუსიის წარმართვას, აზრის გამოხატვას პროგრამით გათვალისწინებული თემების ირგვლივ (გაცნობა,

შეხვედრები. ბიოგრაფია; სწავლა-განათლება, სამუშაო, გატაცება, ჰობი; ტრადიციები და დღესასწაულები; ღირსშესანიშნავი თარიღები; ეროვნული სამზარეულო).

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: HEB0530

ევროპული ენა 2 - ინგლისური (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: ინგლისური ენის ოთხივე ასპექტის – წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი – კომპლექსურ სწავლებას; გრამატიკული მასალა: დროთა სისტემის გამოყენება. ვნებითი გვარი, ირიბი ნათქვამი, ოთხი ტიპის კითხვა. წერის საფუძვლები (საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები). ფონეტიკის საფუძვლები, საუბრის დიალოგური ფორმით წარმართვა. ინტენსიური კითხვა-კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა, ჰენდაუტების, აუდიო-ვიდეო მასალების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ინგლისური ენის (B1 Pre-Intermediate) დაუფლება.

კურსის კოდი: HFB0890

ევროპული ენა 2 - გერმანული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგი ასპექტების სწავლებას: ინტენსიური კითხვა, საუბრის ხელოვნება, გრამატიკა და წერის საფუძვლები. კურსი მოიცავს გრამატიკის საფუძვლებში მოქმედებით გვარში ზმნების დროითი ფორმების განმტკიცებას, მეტყველების ნაწილების კომუნიკაციაში გამოყენებას, კითხვაში ადაპტირებული ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. ენის ფუნქციებში შემდეგი თემების ირგვლივ (ყოველდღიურობა გერმანიაში, ქალაქში ორიენტირება, ოჯახური ურთიერთობები, პროფესიები და ა.შ.) სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავებას, მოსასმენი მასალის გამოყენებას მოსმენის ასპექტისათვის. სტუდენტები ეცნობიან წერიითი მეტყველების საფუძვლებს. ენის სწავლების პროცესი ამ დონეზე იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს - კომუნიკაციურს, ინტერაქციულს. ეს პროცესი წარმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ევროპული ენა 1 (გერმანული).

კურსის კოდი: HFB1140

ევროპული ენა 2 - ფრანგული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: შემდეგი ასპექტების სწავლებას: ინტენსიური კითხვა, საუბრის ხელოვნება, გრამატიკა და წერის საფუძვლები. კურსი მოიცავს გრამატიკული მასალის პრაქტიკულ დამუშავებას სავარჯიშოებით, მეტყველების ნაწილების კომუნიკაციაში გამოყენებას, კითხვაში ადაპტირებული ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. ენის ფუნქციებში შემდეგი თემების ირგვლივ (ყოველდღიური აქტივობები საფრანგეთში, ქალაქში ორიენტირება, ტელეფონზე საუბარი, ოჯახური ურთიერთობები, პროფესიები, ფრანგული სამზარეულო, ფრანგული მოდა, ტურიზმი საფრანგეთში, მოგზაურობა, არდადეგები და ა.შ.) სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავებას, მოსასმენი მასალის გამოყენებას მოსმენის ასპექტისათვის. სტუდენტები ეცნობიან წერიითი მეტყველების საფუძვლებს. ენის სწავლების პროცესი ამ დონეზე იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს - კომუნიკაციურს, ინტერაქციულს. ეს პროცესი წარმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ევროპული ენა 1 (ფრანგული).

კურსის კოდი: HSB0540

ევროპული ენა 2 - რუსული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს რუსული ენის ყველა ასპექტის : კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი - კომპლექსური სწავლებას; წერიითი და ზეპირი მეტყველების განვითარებას; გრამატიკის ცოდნის გაღრმავებას(მორფოლოგია); პრაქტიკული სტილისტიკის ელემენტარული საკითხების შესწავლას;

ტექსტების დამუშავებას; სხვადასხვა თემაზე ადაპტირებული ტექსტების თარგმნას, გაანალიზებას და შინაარსის გადმოცემას; დისკუსიის წარმართვას, აზრის გამოხატვას და მცირე მოცულობის თხზულების დაწერას პროგრამით გათვალისწინებული და თავისუფალი თემების მიხედვით (გარეგნობა და ხასიათი; ვიზიტი მაღაზიაში; ჯანმრთელობა და სპორტი; ადამიანი და ბუნება ; მოგზაურობა; ისტორიის ფურცლები და ა.შ.)

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ევროპული ენა 1 (რუსული).

კურსის კოდი: HEB0540

ევროპული ენა 3 - ინგლისური (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: ინგლისური ენის ოთხივე ასპექტის _ წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი _ კომპლექსურ სწავლებას; გრამატიკული მასალა: სიტყვათწარმოების წესები, საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები, მოსმენილი მასალის აღქმა და ანალიზი, საუბრის დიალოგური და მონოლოგური ფორმით წარმართვა, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულება. ზეპირი და წერილი უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდების საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვა, სააუდიტორიო, კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა, ჰენდაუტების, აუდიო-ვიდეო მასალების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ინგლისური ენის (B1 Pre-Intermediate) დაუფლება.

კურსის კოდი: HFB1050

ევროპული ენა 3 - გერმანული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: გერმანული ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებას. გერმანულად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. გრამატიკის საფუძვლებში მოქმედებით და ვნებით გვარში ზმნების დროითი ფორმების განმტკიცებას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. ენის ფუნქციებში შემდეგი თემების ირგვლივ (გერმანიის გაერთიანება, გერმანიის მთავრობა, ბუნდესთაგი და ბუნდესრატი, გერმანიის პრეზიდენტი და კანცლერი, გერმანიის პოლიტიკური სისტემა და ა.შ.) ცოდნის გაღრმავებას, მოსასმენი მასალის გამოყენებას მოსმენის ასპექტისათვის. ენის სწავლების პროცესი ამ დონეზე იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს კომუნიკაციურს, ინტერაქციულს. ეს პროცესი წარმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ევროპული ენა 1-2 (გერმანული).

კურსის კოდი: HFB1150

ევროპული ენა 3 - ფრანგული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: ფრანგული ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებას. ფრანგულად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. გრამატიკული მასალის პრაქტიკულ დამუშავებას სავარჯიშოებით და კომუნიკაციური გრამატიკის გამოყენებას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. ენის ფუნქციებში შემდეგი თემების ირგვლივ (საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, საფრანგეთის სიმბოლოები, ჰერალდიკური ემბლემა, პარლამენტი საფრანგეთში, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, საფრანგეთის პრეზიდენტები, მე-5 რესპუბლიკა საფრანგეთში, საფრანგეთის კონსტიტუცია, რეგიონები, დეპარტამენტები და კომუნები საფრანგეთში, ზღვის გადაღმა დეპარტამენტები და რეგიონები საფრანგეთში და და ა.შ.) ცოდნის გაღრმავებას, მოსასმენი მასალის გამოყენებას მოსმენის ასპექტისათვის, საუბრის დიალოგური და მონოლოგური ფორმებით წარმართვას. ენის სწავლების პროცესი ამ დონეზე იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს კომუნიკაციურს, ინტერაქტიულს. ეს პროცესი წარმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფრანგული ენის დამოუკიდებლად გამოყენება (B2 I pré-intermédiaire) უცხო ენა 1-2 (ფრანგული).

კურსის კოდი: HSB0590

ევროპული ენა 3 - რუსული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს რუსული ენის ყველა ასპექტის : კითხვა,წერა, მოსმენა,საუბარი - კომპლექსურ სწავლებას; მოსმენილი მასალის აღქმას და ანალიზს; წერითი და ზეპირი მეტყველების შემდგომ განვითარებას; გრამატიკის ცოდნის გაღრმავებას(მორფოლოგია, სინტაქსი); პრაქტიკული სტილისტიკის ელემენტარული საკითხების შესწავლას; სხვადასხვა თემაზე ადაპტირებული ტექსტების თარგმნას, გაანალიზებას და შინაარსის გადმოცემას; ტესტების დამუშავებას; დისკუსიის წარმართვას, აზრის გამოხატვას და მცირე მოცულობის თხზულების წერას პროგრამით გათვალისწინებული და თავისუფალი თემების მიხედვით (ჩემი პროფესია; ისტორიის ფურცლები; ხელოვნების როლი ადამიანის ცხოვრებაში; რელიგია და ა.შ.); სპეციალური ადაპტირებული ლიტერატურის დამუშავება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ევროპული ენა1-2 (რუსული).

კურსის კოდი: HEB0550

ევროპული ენა 4 - ინგლისური (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ენის ოთხივე ასპექტის - წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი - კომპლექსურ სწავლებას; გრამატიკული მასალა: სიტყვათწარმოების წესები, საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები, მოსმენილი მასალის ანალიზი, საუბრის დიალოგური ფორმით წარმართვა, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულება. ზეპირი და წერითი უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდების საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვა, სააუდიტორიო, კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა, თანამედროვე ინგლისური პრესის სწავლება, ჰენდაუტების, აუდიო-ვიდეო მასალების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენება. პრაქტიკულ გრამატიკაში: ზმნების უპირო ფორმების ცოდნა. ენის ფუნქციებში: ზეპირმეტყველების უნარების განვითარება . განათლება, ადამიანის ხასიათი, სამუშაო: წერითი მეტყველების საფუძვლები; მაღალი დონის ადაპტირებული ტექსტის გაგება და მისი პერიფრაზირება, თხრობის უნარ-ჩვევების განვითარება, პრესის საფუძვლებში პრესის ტერმინოლოგიის და საგაზეთო სტილის ფლობა. საგაზეთო სტატიის სათაურების სტრუქტურის შესწავლა, აბრევიატურების, კლიშეების, სტუდენტის მიერ წაკითხულ მასალაზე დისკუსიის წარმართვა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ინგლისური ენის დამოუკიდებლად გამოყენება (B2 Intermediate)

კურსის კოდი: HFB1160

ევროპული ენა 4 - ფრანგული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: ენის სწავლების სხვადასხვა ასპექტს. კითხვა, წერა,გრამატიკა, მოსმენა და საუბარი. კურსი ითვალისწინებს გრამატიკის ცოდნის გაღრმავებას (მორფოლოგია, სინტაქსი); პრაქტიკული სტილისტიკის საკითხების შესწავლას(იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა); დამოუკიდებელი მუშაობა ტექსტებზე და თარგმანზე; დარგობრივი მცირე მოცულობის ლიტერატურული ტექსტების წაკითხვას, გაგებას და ანალიზის გაკეთებას. თხზულების წერას, პროგრამით გათვალისწინებული და თავისუფალი თემების ირგვლივ საუბარს(საფრანგეთის კონსტიტუცია, სამართლის არსი და მნიშვნელობა, სამართლებრივი სფეროები, კონსტიტუციური სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საერთაშორისო სისხლის სამართალი,საფრანგეთის პოლიტიკური პარტიები, არჩევნები საფრანგეთში და ა. შ.), კითხვაში იურიდიული ადაპტირებული ტექსტის გაგებას და მისი პერიფრაზირებას, თხრობის უნარ-ჩვევების განვითარებას, პრაქტიკულ გრამატიკაში გრამატიკული ნორმების ცოდნასა და გამოყენებას, პრესის საფუძვლებში ტერმინოლოგიის ფლობას, საგაზეთო სტატიაზე დისკუსიას. სტუდენტები ენის სწავლების ამ დონეზე იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს - კომუნიკაციურს, ინტერაქციულს. ეს პროცესი წარმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ევროპული ენა 1-2-3 (ფრანგული).

კურსის კოდი: HFB0920

ევროპული ენა 4 - გერმანული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: გრამატიკის ცოდნის გაღრმავებას (მორფოლოგია, სინტაქსი); პრაქტიკული სტილისტიკის საკითხების შესწავლას (იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა); დამოუკიდებელი მუშაობა ტექსტებზე და თარგმანზე; მცირე მოცულობის თხზულების წერა პროგრამით გათვალისწინებული და თავისუფალი თემების ირგვლივ (გერმანიის კონსტიტუცია, გერმანიის სახელმწიფოებრივი წყობის საფუძვლები, გერმანიის პოლიტიკური პარტიები, არჩევნები გერმანიაში და ა. შ.) ცოდნის გაღრმავებას, კითხვაში იურიდიული ადაპტირებული ტექსტის გაგება და მისი პერიფრაზირება, თხრობის უნარ-ჩვევების განვითარება. სტუდენტები ენის სწავლების ამ დონეზე იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს - კომუნიკაციურს, ინტერაქციულს. ეს პროცესი წარიმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ევროპული ენა 1-2-3 (გერმანული).

კურსის კოდი: HSB0600

ევროპული ენა 4 - რუსული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: ენის სწავლების სხვადასხვა ასპექტს. კითხვა, წერა, გრამატიკა, მოსმენა და საუბარი. კურსი ითვალისწინებს გრამატიკის ცოდნის გაღრმავებას (მორფოლოგია, სინტაქსი); პრაქტიკული სტილისტიკის საკითხების შესწავლას (იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა); დამოუკიდებელი მუშაობა ტექსტებზე და თარგმანზე; მცირე მოცულობის თხზულების წერა პროგრამით გათვალისწინებული და თავისუფალი თემების ირგვლივ (გერმანიის კონსტიტუცია, გერმანიის სახელმწიფოებრივი წყობის საფუძვლები, გერმანიის პოლიტიკური პარტიები, არჩევნები გერმანიაში და ა. შ.) ცოდნის გაღრმავებას, კითხვაში იურიდიული ადაპტირებული ტექსტის გაგება და მისი პერიფრაზირება, თხრობის უნარ-ჩვევების განვითარება. სტუდენტები ენის სწავლების ამ დონეზე იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს - კომუნიკაციურს, ინტერაქციულს. ეს პროცესი წარიმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ევროპული ენა 1-2-3 (რუსული).

კურსის კოდი: HEB0590

ევროპული ენა 5 - ინგლისური (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ენის ოთხივე უნარ-ჩვევის - წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი - ინტეგრირებას და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას; ინგლისურენოვანი მხატვრული ტექსტის (ორიგინალში) სიუჟეტური სტრუქტურის ანალიზი, ლექსიკური ექსპრესიული საშუალებების და სტილისტური ხერხების კრიტიკული შეფასების უნარი; ადგილობრივი ინგლისურენოვანი საგაზეთო სტატიების და ახალი ამბების სატელევიზიო გადაცემების ანალიზი და მიღებულ ინფორმაციაზე კრიტიკული და შემოქმედებითი რეაგირების უნარი; დისკურსის - ესეს, თხზულების, შემოქმედებითი კარნახის ორგანიზება სხვადასხვა დროითი ხანგრძლივობის პირობებში; კონტრასტი/შედარების განმარტება/ არგუმენტირების ესეთა დიზაინის თავისებურებები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** ინგლისური ენის დამოუკიდებლად გამოყენება (B2.2 intermediate).

კურსის კოდი: HFB1230

ევროპული ენა 5 - ფრანგული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს: ენის სწავლების სხვადასხვა ასპექტს. კითხვა, წერა, გრამატიკა, მოსმენა და საუბარი. კურსი ითვალისწინებს გრამატიკის ცოდნის გაღრმავებას (მორფოლოგია, სინტაქსი); მეტყველების ნაწილების სწორად გამოყენებას საუბრისას, პრაქტიკული სტილისტიკის საკითხების შესწავლას (იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა); დამოუკიდებელი მუშაობის სპეციალიზირებულ ტექსტებზე, აღნიშნული დარგობრივი ლიტერატურის თარგმნის უნარს როგორც ფრანგული ენიდან მშობლიურ ენაზე, ისე პირიქით. პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობას. იურიდიული ტერმინოლოგიის წერითი და ზეპირი სახით გამოყენებას. სტუდენტები ენის სწავლების ამ დონეზე

იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს - კომუნიკაციურს, ინტერაქციულს. ეს პროცესი წარიმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფრანგული ენის დამოუკიდებლად გამოყენება (B2 I intermédiaire) , (1-2-3 -4 (ფრანგული).

კურსის კოდი: HFB1240

ევროპული ენა 5 - გერმანული (5 კრედიტი)

გერმანული ენის კურსი აერთიანებს ენის სწავლების სხვადასხვა ასპექტს. კითხვა, წერა, გრამატიკა, მოსმენა და საუბარი. კურსი ითვალისწინებს გრამატიკის ცოდნის გაღრმავებას (მორფოლოგია, სინტაქსი); პრაქტიკული სტილისტიკის საკითხების შესწავლას (იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა); დამოუკიდებელი მუშაობა ტექსტებზე და თარგმანზე; პროგრამით გათვალისწინებული თემების - გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო, სამართლის არსი და მნიშვნელობა, სამართლებრივი სფეროები, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი და ა. შ. ირგვლივ ცოდნის გაღრმავებას, კითხვაში იურიდიული ადაპტირებული ტექსტის გაგება და მისი პერიფრაზირება, თხრობის უნარ-ჩვევების განვითარება. სტუდენტები ენის სწავლების ამ დონეზე იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს - კომუნიკაციურს, ინტერაქციულს. ეს პროცესი წარიმართება სტუდენტთა სააუდიტორიო, საშინაო, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალური შერწყმით, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებით და ა. შ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ევროპული ენა 1-2-3 -4 (გერმანული).

კურსის კოდი: HSB0720

ევროპული ენა 5 - რუსული (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რუსული ენის ყველა ასპექტის – კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი – კომპლექსური სწავლება; წერიტი და ზეპირი (დიალოგური და მონოლოგური) მეტყველების შემდეგი განვითარება; გრამატიკის ცოდნის გაღრმავება (სინტაქსი); პრაქტიკული სტილისტიკის საკითხების შესწავლა (იურიდიული ხასიათის საქმიანი დოკუმენტაციის შედგენა); დამოუკიდებელი მუშაობა ტექსტებზე და თარგმანზე; ტექსტების დამუშავება; სხვადასხვა თემაზე ადაპტირებული და ორიგინალური ტექსტების თარგმნა, გაანალიზება და შინაარსის გადმოცემა; დისკუსიის წარმართვა, არგუმენტირებული აზრის გამოხატვა; მცირე ზომის თხზულების, მოხსენების წერა პროგრამით გათვალისწინებული და თავისუფალი თემების მიხედვით (მეცნიერება საზოგადოებისათვის; სამართლის ისტორიიდან; ექსპერიმენტი და პრაქტიკა; დეტექტიური ისტორიები: დანაშაული და სასჯელი და ა.შ.); სპეციალური ლიტერატურის (ადაპტირებული და ორიგინალური ტექსტების) დამუშავება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ევროპული ენა 1-2-3-4 (რუსული).

კურსის კოდი: HAB0311

ლათინური ენა (5 კრედიტი)

კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს შეასწავლოს ლათინური ენის საფუძვლები: წერა-კითხვა, გრამატიკა და ლექსიკური მინიმუმი. ისინი შეისწავლიან რომაულ ანდაზებს ე.წ. სენტენციებს და მთელ რიგ იურიდიულ ტერმინებს რომის სამართლის წყაროების მიხედვით შედგენილი ტექსტებიდან. ესენია: Ius et fas (აღმიაწერი და ღვთიური სამართალი); Leges duodecim tabularum (12 ტაბულის კანონები); Stipulatio (ზეპირი შეთანხმება); Tutela et curator (მეურვე და მზრუნველი); Obligatioes (ვალდებულებები); Actiones (სარჩელები); Mancipatio (მანციპაცია); Usucapio (ნივთის შექმნა ხანდაზმულობის საფუძველზე); Traditio (საკუთრების უფლების გადაცემა); Dominium (საკუთრება); Iudicium publicum (სისხლის სამართალი); In iure cessio (საკუთრების უფლების დათმობა); Ius naturale, ius gentium et ius civile (ბუნებითი, ხალხთა და სამოქალაქო სამართალი); Res corporales et res incorporales (სხეულებრივი და არასხეულებრივი ნივთები); Hereditas et testamentum (მემკვიდრეობა და ანდერძი); Servitutes (სერვიტუტები) და სხვა.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SFB0151

ლოგიკა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ჭეშმარიტების დადგენის გზები; ბჭობა და ბჭობაში დაშვებული შეცდომები; აზროვნების ძირითადი კანონები; ლოგიკური გამომდინარეობის ზოგადი წესები; ცნებათა შემუშავების ხერხები; კლასიფიკაციის, კატეგორიული სოლოგიზმის თეორია; ინდუქციური და დედუქციური დასკვნები; მიზნობრივი კავშირის დადგენის მეთოდები, ჰიპოთეზა, ალბათობა. დასაბუთების სახეები, შეცდომები დასაბუთებაში; კამათი (პოლემიკა) და მისი სახეები; მოკამათეთა ურთიერთობის პრინციპები; კამათის წარმართვის ხერხები, სოფიზმები; დაცვისა და შეტევის ლოგიკური წესები კამათში.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SHB0081

საქართველოს ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველთა წარმომავლობის პრობლემა ; საქართველო ანტიკურ ხანაში; ქართლი V ს. ვახტანგ გორგასალი; საქართველო არაბთა ბატონობის პერიოდში ; ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის (ბაგრატ III); საქართველო XI საუკუნეში (გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II); დავით აღმაშენებელი ; მეფე თამარი, მონღოლთა ბატონობის დამყარება საქართველოში - გიორგი ბრწყინვალე; საქართველო XV საუკუნეში ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლა სამეფო-სამთავროებად; საქართველო XVI-XVII საუკუნეებში, საქართველო XVIII საუკუნეში; საქართველო XIX-XX საუკუნეებში.

კურსის კოდი: SFB0121

იურიდიული ფსიქოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებები; დამნაშავეთა ფსიქოლოგიური ტიპები; მიების ფსიქოლოგია; დაკითხვის ფსიქოლოგია; მოწმის ფსიქოლოგია, სასამართლო განხილვის ფსიქოლოგია; პენიტენციალური სისტემის ფუნქციონირების ფსიქოლოგიური პრინციპები.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SWB0241

პოლიტოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების საგანი, კატეგორიები, მეთოდები და ფუნქციები; პოლიტიკა, როგორც სოციალური ფენომენი; თანამედროვე ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების თავისებურებები და ძირითადი მიმართულებები; პოლიტიკური ხელისუფლების თეორია; პოლიტიკური კონფლიქტები და კრიზისები; პოლიტიკური ლიდერი და ელიტების თეორია, მათი ტიპოლოგია; სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი. სამოქალაქო საზოგადოება, არჩევნების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SLB0610

შესავალი სამოქალაქო სამართალში (5კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ცნება და კლასიფიკაცია; უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა; სახელის უფლება და საცხოვრებელი ადგილი; უფხო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება; იურიდიული პირის ცნება და სახეები; გარიგების ცნება და სახეები; მოტყუებით, იძულებით და შეცდომით დადებული გარიგებები; პირობითი გარიგება; თანხმობა გარიგებებში; საცილო გარიგებანი; პირადი არაქონებრივი უფლებები; სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია; აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ზიანი; უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი; წარმომადგენლობა; ვადები სამოქალაქო სამართალში; სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SLB0450

სანივთო სამართალი (5კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქონების ცნება; ნივთების სახეები; არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ცნება; მფლობელობის ცნება და სახეები; საკუთრების უფლების შინაარსი; საერთო საკუთრება; სამეზობლო სამართალი; საკუთრების შექმნა უძრავ ნივთებზე; საკუთრების შექმნა მოძრავ ნივთებზე; განძი და ნაპოვარი; საკუთრების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე; ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში; ურთიერთობანი ბინის მესაკუთრეთა შორის; სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა; უზუფრუქტი; სერვიტუტი; საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება; იპოთეკა; საჯარო რეესტრი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: შესავალი სამოქალაქო სამართალში.

კურსის კოდი: SLB0130

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ვალდებულებითი სამართლის ცნება; ვალდებულებათა სახეები; ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები; ხელშეკრულების დადება და შინაარსი; ხელშეკრულების დადება და შინაარსი; ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და სახეები; ფულადი ვალდებულების შესრულება; კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება; მოვალის მიერ ვადის გადაცილება; ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს; ზიანის ანაზღაურების მოვალეობა; მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებანი; ვალდებულების შეწყვეტა; სოლიდარული კრედიტორები; სოლიდარული მოვალეობები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: შესავალი სამოქალაქო სამართალში.

კურსის კოდი: SLB0140

სახელშეკრულებო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნასყიდობის და გაცვლის ხელშეკრულება; ჩუქების ხელშეკრულება; ქირავნობის ხელშეკრულება; ლიზინგის ხელშეკრულება; იჯარის ხელშეკრულება; ფრეშიაზინგის ხელშეკრულება; თხოვების ხელშეკრულება; სესხის ხელშეკრულება; ნარდობის ხელშეკრულება; ტურიზმის ხელშეკრულება; გადაზიდვის ხელშეკრულება; დავალების ხელშეკრულება; საკუთრების მინდობა; ექსპედიციის ხელშეკრულება; საშუამავლო ხელშეკრულება; ჯილდოს საჯაროდ დაპირება; კონკურსი; მიზარების ხელშეკრულება; თავდებობა; კონტოკორენტი; ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება; სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება; თანაშობა, სანაძლეო; დელიქტური ვალდებულებანი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სანივთო სამართალი; ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი.

კურსის კოდი: SLB0570

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საზიარო უფლებების ცნება, წარმოშობა და გაუქმება, მონაწილეების პასუხისმგებლობა, მოთხოვნის ხანდაზმულობა.დავალების გარეშე სხვისი საქმიეების კეთილსინდისიერად შესრულება, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, ხარჯების ანაზღაურება, ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის დაუშვებლობა, საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდი.ვითომ კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები, გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის დაუშვებლობა, მოთხოვნის ფარგლები, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უსაფუძვლოდ მიღებული ქონების უკან დაბრუნება, სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სანივთო სამართალი; ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი.

კურსის კოდი: SLB0460

საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება; დაქორწინების წესი და პირობები; ქორწინების შეწყვეტა, ბათილობა; მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები; შვილების წარმოშობის დადგენა; საალიმენტო მოვალეობები;შვილება;

მემკვიდრეობის არსი და მნიშვნელობა; კანონისმიერი და ანდერძით მემკვიდრეობა; სამკვიდროს გახსნა; ანდერძის ფორმა; სავალდებულო წილი; ანდერძის შეცვლა და მოშლა; სამკვიდროს გაყოფა; კრედიტორის დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ; სამკვიდროს დაცვა; სამკვიდრო მოწმობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი; სახელშეკრულებო სამართალი.

კურსის კოდი: SLB0420

სამოქალაქო სამართლის პროცესი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამოქალაქო მართლმსაჯულება; სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება; სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა და პრინციპები; სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოების სუბიექტები; სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი; განსჯადობა, სასამართლოს შემადგენლობა, აცილება; საპროცესო ვადები, საპროცესო უზრუნველყოფა; მხარეთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა; სასამართლო მტკიცებულებები; საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში; გამარტივებული წარმოება; უდავო წარმოება; აპელაცია, კასაცია, კერძო საჩივარი; საქმის წარმოების განახლება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სახელშეკრულებო სამართალი.

კურსის კოდი: SLB0410

საკორპორაციო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამეწარმეო საქმიანობა არსი; მეწარმე სუბიექტები და მათი დაფუძნება; საწარმოს რეგისტრაციის პირობები; საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილებების რეგისტრაცია; საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები; ინდივიდუალური მეწარმეებისა და სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები; საფირმო სახელწოდება; გენერალური სავაჭრო მინდობილობა და იურიდიულ მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება; სავაჭრო წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მოვაჭრე კომისიონერი; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სახელშეკრულებო სამართალი.

კურსის კოდი: SLB0620

შრომის სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობების თავისებურებები, მათი დამყარების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები; სამუშაოს შესრულება; სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო; შვებულება; შრომის ანაზღაურება; შრომის პირობების დაცვა; შრომითი ურთიერთობის შეცვლა, შეჩერება და შეწყვეტა; კოლექტიური ხელშეკრულება; დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სახელშეკრულებო სამართალი.

კურსის კოდი: SLB0180

კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სახელმწიფო, როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკური მოვლენა; სახელმწიფოს ნიშნები; სახელმწიფოს ფუნქციები და მექანიზმი; სამართლებრივი სახელმწიფო; სახელმწიფოს ფორმები; კონსტიტუციური სამართლის დარგი; კონსტიტუციათა ზოგადი დახასიათება; სახელმწიფო ხელისუფლება და მისი ორგანიზაციის კონსტიტუციური პრინციპები, ხელისუფლების დანაწილება; საკანონმდებლო ხელისუფლება, საქართველოს პარლამენტი; სახელმწიფოს მეთაური, საქართველოს პრეზიდენტი; მთავრობა სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში, საქართველოს მთავრობა; სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოების სისტემა საქართველოში; ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა საქართველოში.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SLB0020

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ძირითადი უფლებების ცნება და სუბიექტები; იურიდიული პირი, როგორც ძირითადი უფლებების სუბიექტი; ძირითადი უფლებების კლასიფიკაცია და ფუნქცია; თანასწორობა სასამართლო პროცესში; საარჩევნო თანასწორობა; სიცოცხლის უფლება; ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება; ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა; ადამიანის თავისუფლების ხელშეუხებლობა; სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება; ინფორმაციისა და პრესის თავისუფლება; საკუთრების უფლების დაცვა; სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა; ქალთა შრომის უფლება; შრომის ანაზღაურება, ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის უფლება; უფლება კანონიერ სასამართლოზე; უმცირესობის ცნება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი.

კურსის კოდი: SLB0150

ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საჯარო მმართველობა; საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობა; ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები; ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები; ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ცნება, სახეები, ფუნქციები, ოფიციალური გაცნობა, კანონიერება, გაუქმების სახეები; ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის ცნება, კლასიფიკაცია, გამოცემა, კანონიერება; ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება, კანონიერება, ბათილობა; რეალაქტი; მარტივი ადმინისტრაციული წარმოება; ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება; ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით; სახელმწიფოს პასუხისმგებლობა; ინფორმაციის თავისუფლება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი;

კურსის კოდი: SLB0330

საერთაშორისო საჯარო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთაშორისო სამართლის ცნება, წყაროები; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობა; საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები; საერთაშორისო სამართლის სუბიექტი; საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი; საერთაშორისო ორგანიზაციები; პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართალში; დიპლომატიური და საკონსულო სამართალი; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო დანაშაულის ცნება; ტერიტორია და საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო საზღვაო სამართალი; საჰაერო და კოსმოსური სივრცის სამართალი; საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საშუალებანი; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

კურსის კოდი: SLB0060

ადმინისტრაციული სამართლის პროცესი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთო სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები; მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში; გამარტივებული და დაჩქარებული ადმინისტრაციული წარმოება; ვადები ადმინისტრაციულ პროცესში; მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებები; ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმები, ადმინისტრაციული სარჩელის სახეები; სააპელაციო საჩივარი; საკასაციო საჩივარი; შემაკავებელი ორდერი; სასამართლოში მეწარმის საქმიანობის შემოწმების წესი; აღიარებითი ადმინისტრაციული სარჩელი და მისი სახეები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0530

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სისხლის სამართლის პრინციპები; სისხლის სამართლის თეორია და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი საფუძველი დანაშაული; სისხლის სამართლის კანონი; დანაშაულის შემადგენლობა; დანაშაულის სუბიექტი და დანაშაულის სუბიექტური მხარე; დანაშაულის ობიექტი და დანაშაულის ობიექტური მხარე; დაუმთავრებელი დანაშაული; დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა; მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები; ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი; ერთიანი დანაშაული და დანაშაულთა სიმრავლე; სასჯელის ცნება და მიზნები, სისტემა და სახეები; სასჯელის დანიშვნა; ამნისტია, შეწყალება, ნასამართლეობა; არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა; იურიდიული პირის პასუხისმგებლობა; სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SLB0220

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ; დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანების ხარისხის დადგენა; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა; დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ; დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ; დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი.

კურსის კოდი: SLB0540

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეკონომიკური დანაშაული – საკუთრების წინააღმდეგ მიმართული და საფინანსო და სამეწარმეო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულები; დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; დანაშაული გარემოს დაცვისა წესის შესახებ, დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ; სამოხელეო დანაშაული; დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ; დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ; დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I.

კურსის კოდი: SLB0560

სისხლის სამართლის პროცესი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და მოქმედების სფერო; სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები; დაზარალებულის სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში; მტკიცებულება, მტკიცების საგანი და პროცესი; გამოძიების საფუძვლები; საგამოძიებო მოქმედებები; სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლები; პირის დაკავება და ბრალდებულად ცნობა; დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნა; აღკვეთის ღონისძიებანი; საპროცესო შეთანხმება; საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; აპელაცია და კასაცია; სასამართლო განაჩენის აღსრულება; განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო; პროცესი არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე; პროცესი იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II.

კურსის კოდი: SLB0600

შესავალი სამართალმცოდნეობაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამართლის ცნება, არსი და ნიშნები; სამართლის პრინციპები; პოლიტიკა, სამართალი და ზნეობა; სამართლებრივი მოწესრიგება; სამართლებრივი მოწესრიგების სახეები; სამართლის ფორმები(წყაროები); სამართალშემოქმედება; სამართლის და კანონმდებლობის სისტემების თანაფარდობა; სამართლებრივი ურთიერთობა; სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი; და ობიექტი; სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები; იურიდიული ფაქტები; სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება;სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ხერხები და ფორმები; სამართლის რეალიზაცია და სამართლის ნორმის შეფარდება; მართლზომიერი ქცევა და სამართალდარღვევა; იურიდიული პასუხისმგებლობა; კანონიერება და მართლწესრიგი; სამართლის სისტემა და დარგები.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SLB0590

ქართული სამართლის ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული სამართლის წყაროები: ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი; ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი; გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნი; ვახტანგ მეექვსეს სამართლის წიგნი; კათალიკოზთა სამართალი; კანონიკური სამართალი; საქართველოს ჩვეულებითი სჯული; “დასტურლამალი”; “ხელმწიფის კარის გარიგება”; ძველი ქართული სისხლის სამართალი; საოჯახო-სამემკვიდრეო სამართალი; ვალდებულებითი სამართალი; სასამართლო ორგანიზაცია და პროცესის საკითხები; მორიგის ლაშქრობის განაჩენი; სამოქალაქო და სისხლის სამართლის ექსპედიციები.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SLB0401

საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეგვიპტის , ბაბილონის , ძველი საბერძნეთის , ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; ფრანკთა სახელმწიფო და სამართალი; გერმანიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; იტალიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; საფრანგეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; პოსტსაბჭოთა ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SLB0261

რომის კერძო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რომის კერძო სამართლის წყაროები; სარჩელები; საკუთრების უფლება და სახეები; საკუთრების უფლების შექმნა;შეწყვეტა და საკუთრების უფლების დაცვა; უფლებები სხვის ნივთზე; ვალდებულებითი სამართალი (ხელშეკრულების ცალკეული სახეები); კერძო დანაშაულებანი; პირები რომის კერძო სამართალში; ძველი რომის მემკვიდრეობითი სამართალი; ძველი რომის საოჯახო სამართალი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია.

კურსის კოდი: SLB0701

შესავალი სამართლის ფილოსოფიაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი თავისებურებანი; სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების ფორმათა და მხარეთა შედარებითი ანალიზი; წესრიგის, თანასწორობისა და თავისუფლების თანაფარდობის პრობლემები; ადამიანის უფლება-მოვალეობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის თეორიული და პრაქტიკული ინსტრუმენტები; უდანაშაულობის პრეზუმციასთან დაკავშირებული დილემების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური გადაწყვეტის გზები; სასამართლოს დამოუკიდებლობის სოციალურ-პოლიტიკური უზრუნველყოფის პირობები; ბრალდებისა და დაცვის, შინაგანი რწმენისა და ეჭვის, ბრალისა და დანაშაულის

ურთიერთმიმართების პრობლემები; საერთაშორისო სამართლის ზოგადფილოსოფიური შეფასების პრობლემური ასპექტები და სხვ.

წინაპირობა არ გააჩნია.

კურსის კოდი: SLB0211

სამართლის მეთოდები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: იურიდიული მეთოდოლოგია; სამართლებრივი ცნებები; სამართლის მეთოდები და სამართლის მეცნიერება, როგორც ნორმატიული მეცნიერება; სამართლის ნორმის ცნება; ნორმა, როგორც ჰიპოთეტური ჯერარსული მოვლენა; ნორმის ლოგიკური სტრუქტურა; სამართლის შეფარდება და იურიდიული სილოგიზმი; სამართლის შეფარდება და იურიდიული დასკვნები; სამართლის ნორმათა განმარტება; კონსტიტუციის განმარტება; მოსამართლეთა მიერ სამართლის განვითარების მეთოდები. ანალოგია და იურიდიული სილოგიზმი; ანალოგიის იურიდიული დასაშვებობა. სამართლის სოციოლოგიური და იურიდიული წყარო.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი; ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი; სისხლის სამართალი კერძო ნაწილი; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი.

კურსის კოდი: SLB0011

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ადამიანის საყოველთაო უფლებების არსი; ადამიანის დაცვის საერთაშორისო მექანიზმები; ადამიანის უფლებათა რეგიონალური ინსტრუმენტები და მექანიზმები; ადამიანის უფლებათა თანამედროვე კონცეფცია და არასამთავრობო ორგანიზაციები; ევროპის საბჭოს სამართალი; ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი ადამიანის უფლებათა ძირითადი დოკუმენტები და მექანიზმები; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი განმარტების პრინციპები; **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** საერთაშორისო საჯარო სამართალი.

კურსის კოდი: SLB0091

დაზღვევის სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დაზღვევის ცნება; დაზღვევის ხელშეკრულების დადების ვალდებულება; სავალდებულო დაზღვევა; სადაზღვევო მოწმობა (პოლისი); სადაზღვევო მოწმობის სახეები; დაზღვევის დაწყების დრო; ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ; სადაზღვევო შესატანი (სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება, პირველი სადაზღვევო შესატანი), სადაზღვევო შესატანის გადახდის შეწყვეტა; ზიანის ანაზღაურება (ზიანია ანაზღაურების ფარგლები); ქონების დაზღვევის თავისებურებანი, შემცირებული ან არასრული დაზღვევა; დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ; სიცოცხლის დაზღვევა; უბედური შემთხვევის დაზღვევა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0581

ფასიანი ქალაქების სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საწარმომდგენლო ფასიანი ქალაქებიდან წარმოშობილი ვალდებულება (ცნება, ემიტენტის შესაგებელი, უფლებათა გადასვლის წესი, ემიტენტის უფლებები, ემიტენტის მოვალეობა, ფასიანი ქალაქის გამოცხადება ძალადაკარგულად); საორდერო ფასიანი ქალაქებიდან წარმოშობილი ვალდებულება, უფლებათა გადაცემა; ინდოსამენტის სახეები; ინდოსირებით შექმნილი დოკუმენტების გამოყენების წესი; წერილობით გარანტირებული მოთხოვნები); პირადი ფასიანი ქალაქები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0291

საბანკო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საბანკო ანგარიშსწორება (ანგარიშის ამონაწერების მიცემის ვალდებულება, ანგარიშიდან ფულადი სახსების ჩამოწერა, საიდუმლოების დაცვის

ვალდებულება, გადახდა ჩეკის საფუძველზე, ჩეკის ინკასირება); საბანკო კრედიტი (საპროცენტო განაკვეთები, ხელშეკრულების შეწყვეტა, ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის): ანაზღაურება; დოკუმენტალური სასაქონლო აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო (საინკასო დავალება); საბანკო გარანტია (საზღაური საბანკო გარანტიისათვის, საბანკო გარანტიის გამოთხოვის დაუშვებლობა, ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემის დაუშვებლობა, გარანტიის ვალდებულების ფარგლები); თავდებობა; კონტოკორენტი.
კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სამოქალაქო სამართლის პროცესი

კურსის კოდი: SLB0070

გაკოტრების სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გაკოტრების სამართლის არსი, მიზნები და ამოცანები; გაკოტრებაუნარიანობა და გაკოტრების საფუძვლები; სასამართლო განსჯადობა; განცხადება გაკოტრების შესახებ და მისი განხილვის წარმოება; სასამართლოს განჩინებები; მეურვე, კრედიტორთა კრება, მომრიგებელი საბჭო; გაკოტრების მმართველი, გაკოტრება, რეანილიტაცია, რეაბილიტაციის მმართველი, საზღვარგარეთ წარმოებული გადახდისუუნარობა, საქმისწარმოების დამთავრება, განაწილება და მისი შედეგები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სახელშეკრულებო სამართალი; სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0430

სანოტარო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნოტარიატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები; სანოტარო მოქმედების შესრულებისას წარმოშობილი სამართლებრივი დავა; სანოტარო მოქმედების საიდუმლოება; ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების პირობები; ნოტარიუსის თანამდებობიდან განთავისუფლება; საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების მოწვევა და გადაწყვეტილების მიღება; საქართველოს ნოტარიუსთა პალატა; ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების და პალატის გამგეობის კომპეტენცია; სანოტარო მოქმედება და მისი შესრულების ძირითადი მოთხოვნები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0711

სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სარჩელი; სამოქალაქო საქმის აღძვრა სასამართლოში; საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად; სასამართლოს მიერ სამოქალაქო პროცესის მონაწილეთა ინფორმაციული უზრუნველყოფა; სასამართლოს მთავარი სხდომა; უდავო წარმოება; სამოქალაქო საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის თავისებურებანი; საქორწინო-საოჯახო და სხვა ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეთა განხილვის თავისებურებანი; პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებანი; დაუსრულებელი გადაწყვეტილება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0550

სანივთო სამართლებრივი დავების განხილვის სპეციფიკა (5კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ პრაქტიკულ ელემენტებს: სანივთო სამართლებრივი ურთიერთობის დავები: ქონება; მფლობელობა; საკუთრება; სამეზობლო სამართალი; აღნაგობა; უზუფრუქტი; სერვიტუტები; გირავნობა; იპოთეკა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0271

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საავტორო უფლებების დამოუკიდებლობა საკუთრების უფლებებისაგან; ნაწარმოებები, რომლებზეც არ ვრცელდება საავტორო უფლება; საავტორო უფლების წარმოშობა, შედგენილი ნაწარმოებისა და გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებები და

გამომცემლის განსაკუთრებული უფლებები; ნაწარმოების ავტორის პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, სახვითი ხელოვნების ავტორის უფლებები; ქონებრივი უფლებების შეზღუდვა; საავტორო უფლებათა გადაცემა; საავტორო უფლების ობიექტები; საავტორო უფლების წარმოშობა; ავტორობის პრეზუმფცია და თანაავტორობა; ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები; ქონებრივი უფლებების შეზღუდვა; პატენტი; ავტორი და პატენტმფლობელი; სასაქონლო ნიშნის დაცვა; საფირმო სახელწოდების დაცვა; საწარმო-კომერციული საიდუმლოების დაცვა პატენტმფლობელის უფლებები და მოვალეობები; სასაქონლო ნიშნებზე უფლების მოპოვების გზები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სახელშეკრულებო სამართალი.

კურსის კოდი: SLB0311

საერთაშორისო კერძო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელობა; საკოლიზიო ნორმების ცნება და შინაარსი; პირების ცნება; სანივთო სამართლის საკითხები; დელიქტების საკოლიზიო საკითხები; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობები; საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი; საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟი; კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ; თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუსი; კონვენცია რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საერთაშორისო საჯარო სამართალი; სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0230

მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გირავნობის ცნება და სახეები; გირავნობის ფარგლები; მფლობელობითი გირავნობა; რეგისტრირებული გირავნობა; ლომბარდში ნივთების დაგირავების წესი; მოგირავნის და დამგირავებლის უფლებები და მოვალეობები; სუროგაცია; გარიგების დადება გირავნობის საგანზე; გირავნობის უფლების გადასვლა ახალ კრედიტორზე; გირავნობის საგნის გასხვისება; გირავნობის საგნის რეალიზაცია; იპოთეკის ცნება (საერთო იპოთეკა, მესაკუთრის იპოთეკა); იპოთეკის რეგისტრაცია; იპოთეკით დატვირთული ნივთის მოვლის მოვალეობა; იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა; პირგასამტეხლო; ბე; მოვალის გარანტია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0241

სამომხმარებლო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, მომხმარებლის უფლება ინფორმაციაზე, ინფორმაცია პროდუქციის შესახებ; პასუხისმგებლობა არასათანადო ინფორმაციისათვის; პასუხისმგებლობა მომხმარებლის უფლებების შელახვისათვის, ქონებრივი პასუხისმგებლობა; მომხმარებელთა უფლებები და მათი დაცვა საქონლის გაყიდვის, სამუშაოთა შესრულების და მომსახურებისას; ანგარიშგასწორება მომხმარებელთან ნაკლოვანების მქონე საქონლის შეძენის შემთხვევაში; მომხმარებლის უფლება შეძენილი საქონლის სათანადო ხარისხზე; სამუშაოს შესრულების და ვადების დარღვევის შედეგები; მომხმარებლის უფლებები სამუშაო ნაკლოვანებათა აღმოჩენის შემთხვევაში; მომხმარებელთა უფლებების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაცვა; შესაძენი საქონლის ღირებულების გადახდის ფორმა და წესი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სახელშეკრულებო სამართალი; კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები.

კურსის კოდი: SLB0171

კერძო დავების გადაწყვეტა ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სააპელაციო წარმოების ზოგადი დახასიათება; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებათა სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება; სააპელაციო

სასამართლოს უფლებამოსილება; საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება; გადაწყვეტილებათა გაუქმებისა და შეცვლის საფუძვლები; კერძო საჩივარი; საქმის წარმოების განახლება; ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობის დავები (ჩუქება, სესხი, ნასყიდობა).

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0521

ნორმატიული აქტების სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კანონის ცნება და სახეები; კანონი სამართლებრივ სახელმწიფოში, კანონის უზენაესობა; საკანონმდებლო პროცედურების შედარებითი ანალიზი; საკანონმდებლო პროცესი საქართველოში (საქართველოს საკანონმდებლო აქტების სისტემა); კანონი ნორმატიული აქტების შესახებ; კანონმდებლობის თეორია, მეთოდოლოგია და საკანონმდებლო ტექნიკა (კანონმდებლობის თეორია თანამედროვე დასავლეთში - ძირითადი მიმართულებები და განვითარების პერსპექტივები); კანონმდებლობის თეორიის ისტორიული განვითარება; კანონი და ენათმეცნიერება; ენის ნორმების გავრცელებული დარღვევები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართალი.

კურსის კოდი: SLB0361

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ჟენევის სამართალი და ჰააგის სამართალი; jus ad bellum და jus in bello; შეიარაღებული კონფლიქტის სახეები (საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების ცნება); კომბატანტის და არაკომბატანტის ცნება; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპები; მფარველობის ქვეშ მყოფი პირები; ნეიტრალიტეტი ომის დროს; დაჭრილები, ავადმყოფები და კატასტროფაში მოყოლილი პირები; სამხედრო ტყვეთა სამართლებრივი რეჟიმი; სამოქალაქო პირთა დაცვა; ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები; სამოქალაქო ობიექტების დაცვა; საომარ ოპერაციათა წარმოებაზე დაწესებული შეზღუდვები; სამოქალაქო ომი (შიდა არეულობები და დამაბულობები); ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საერთაშორისო საჯარო სამართალი.

კურსის კოდი: SLB0280

საარჩევნო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ამომრჩეველთა რეგისტრაცია; საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები (არჩევნების მეორე ტური, ხელახალი არჩევნები, რიგგარეშე არჩევნები); საქართველოს პარლამენტის არჩევნები (არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რეგისტრაცია, არჩევნების შედეგების შეჯამება); ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნები (საარჩევნო ოლქები და უბნები); მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქის საკრებულოების არჩევნები; საქართველოს დედაქალაქის თბილისის საკრებულოს არჩევნები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი;

კურსის კოდი: SLB0030

მუნიციპალური სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი პრინციპები; თვითმმართველი ერთეული; თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებანი; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი; ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურა და უფლებამოსილებანი; ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტები; თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა; საკრებულოს დათხოვნა (საქმიანობის შეჩერება, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა).

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი;

კურსის კოდი: SLB0321

საფინანსო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფინანსების ცნება და საქართველოს საფინანსო სისტემა; საფინანსო სამართლის ცნება, მნიშვნელობა და პრინციპები; საფინანსო-სამართლებრივი ნორმები და ურთიერთობანი; ბიუჯეტი; საფინანსო კონტროლი (კონტროლის სახეები, კონტროლის პალატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, ადგილობრივი საფინანსო კონტროლი, აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი); საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საბანკო საქმიანობა; საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ადმინისტრაციული სამართლის პროცესი.

კურსის კოდი:SLB0722

სამოხელეო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის ცნება; სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება; საჯარო სამსახურის სახეები და საჯარო მოსამსახურის ცნება; საჯარო მოსამსახურის სახეები და საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები; სამსახურში მიღება და მოსამსახურის უფლებები და გარანტიები; საჯარო სამსახურში თანამდებობათა რანგირება; საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპები, სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები და მექანიზმები; თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის სამართლებრივი პირობები და მექანიზმები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: კონსტიტუციური(სახელმწიფო მოწყობის) სამართალი.

კურსის კოდი: SLB0480

სააღსრულებო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სააღსრულებო დაწესებულებები; აღსრულების ქვემდებარე გადაწყვეტილებები; სასამართლო აღმასრულებელი; აღსრულების ორგანიზაციული უზრუნველყოფა; აღსრულების გადადება და შეწყვეტა; აღსრულების შეჩერება; აღსრულების ხარჯები; აღსრულება მოძრავ ქონებაზე; იძულებითი იპოთეკა; იძულებითი აუქციონი;აღსრულება ნივთების გადაცემისა და მოქმედების შესრულების მიზნით; აღსრულების წესები სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ადმინისტრაციული სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0120

ეკოლოგიური სამართალი (5კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეკოსისტემა, როგორც სამართლებრივი რეგულირების ობიექტი; საკუთრების უფლება ბუნების ობიექტებზე; ბუნებით სარგებლობის უფლება; ბუნებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის სახელმწიფოებრივი მმართველობა; ეკოლოგიურ სამართლებრივი პასუხისმგებლობა; ბუნების ობიექტების (მიწა, წყალი, წიაღი, ტყე, ატმოსფერული ჰაერი, დაცული ტერიტორიები) სამართლებრივი დაცვა; ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ადმინისტრაციული სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0300

საგადასახადო და საბაჟო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო კონტროლი; საგადასახადო სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა; საგადასახადო დავა; გადასახადის სახეები; საგადასახადო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები და მათი უფლებამოსილებები; საბაჟო რეჟიმები; საბაჟო შეღავათები (პრეფერენციები); საბაჟო ვალდებულება; საბაჟო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა; საფინანსო-სამართლებრივი ნორმები და ურთიერთობანი; ბიუჯეტი; საფინანსო კონტროლი (კონტროლის სახეები, კონტროლის პალატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, ადგილობრივი საფინანსო კონტროლი, აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი); საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საბანკო საქმიანობა; საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ადმინისტრაციული სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0490

მართლწესრიგის სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მართლწესრიგის ცნება; სამართლის როლი საზოგადოებრივი რეგულირების სფეროში; მართლწესრიგის დაცვის საკანონმდებლო უზრუნველყოფა და სახელმწიფო ადმინისტრირება; მართლწესრიგის მარეგულირებელი ნორმები და მათი თავისებურებანი. საქართველოს კანონები: პოლიციის შესახებ; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ; იარაღის შესახებ; ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ; ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ; ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: შესავალი სამართალმცოდნეობაში; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II.

კურსის კოდი: SLB0390

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: აშშ; გერმანიის; დიდი ბრიტანეთის; ესპანეთის; იაპონიის; იტალიის კონსტიტუციური სამართლის საფუძვლები; კანადის; რუსეთის; საფრანგეთის; უნგრეთის; ავსტრიის; ეგვიპტის კონსტიტუციური სამართლის საფუძვლები; ინდოეთის; ირანი; ისრაელის; პოლონეთის; პორტუგალიის; საბერძნეთის; შვედეთის; შვეიცარიის კონსტიტუციური სამართლის საფუძვლები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი; საერთაშორისო საჯარო სამართალი.

კურსის კოდი: SLB0380

სახელმწიფოთა ტერიტორიული მოწყობის თანამედროვე მოდელები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმები: უნიტარული, რეგიონალური და ფედერაციული; სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მოდელების ურთიერთმიმართება; რეგიონალიზმის სახეები (მიდასახელმწიფოებრივი, ტრანსნაციონალური); ავტონომიის სახეები (პერსონალური, კულტურული, ორგანიზაციული, რეგიონალური, კომუნალური, ენობრივი); პარტიკულარიზმი; სეპარატიზმი; სეცესია და სეცესიის თანამედროვე თეორიები; ეთნიკური კონფლიქტის ცნება და ეთნიკური ფედერალიზმის ცნება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი;

კურსის კოდი: SLB0200

კრიმინოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კრიმინოლოგიის სისტემა; დანაშაულობის ცნება; დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ცნება; დანაშაულის ჩამდენი პირის ცნება; ლატენტური დანაშაულობის ცნება; ვიქტიმოლოგია; დანაშაულობის თავიდან აცილების ცნება; დანაშაულობის პროგნოზირების ცნება და დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვა; პროფესიული დანაშაულობა; ორგანიზებული დანაშაულობა; რეციდივული დანაშაულობა; არასრულწლოვანთა დანაშაულობა.
კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0110

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დანაშაულის კვალიფიკაცია მისი ობიექტის მიხედვით; დანაშაულის კვალიფიკაცია მისი ობიექტური მხარის მიხედვით; დანაშაულის კვალიფიკაცია მისი სუბიექტისა და სუბიექტური მხარის მიხედვით; თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაცია; ეკონომიკური დანაშაულის კვალიფიკაცია; დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; ნარკოტიკული დანაშაული და მისი კვალიფიკაცია; დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ და მისი კვალიფიკაცია; ტერორიზმი და მისი კვალიფიკაცია; დანაშაული სასამართლო ორგანოების წინააღმდეგ და მისი კვალიფიკაცია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II.

კურსის კოდი: SLB0190

კრიმინალისტიკა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ცალკეულ დანაშაულებათა გამოძიების მეთოდოლოგია; კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია; საზოგადოებრიობის ჩაბმა დანაშაულის გახსნისა და გამოძიების პროცესში.; კრიმინალისტიკური ტექნიკა, კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია, ტრასოლოგია; ბალისტიკა; ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა; გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა; ძებნა; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა; ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა; ამოსაცნობად წარდგენის ტაქტიკა; დოკუმენტების ტექნიკურ- კრიმინალისტიკური გამოკვლევა, გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების კრიმინალისტიკური ინდენტიფიკაცია-(სიტყვიერი პორტრეტი) კრიმინალისტიკური რეგისტრაცია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0040

თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დანაშაულის ცნება; ქმედების შემადგენლობა; მართლწინააღმდეგობა (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები); ბრალი (ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები); მიზეზობრივი კავშირი; დანაშაულთა კატეგორიები; ერთიანი დანაშაული; დანაშაულის სიმრავლე; დაუმთავრებელი დანაშაული; დანაშაულის ჩადენის სტადიები; დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი.

კურსის კოდი: SLB0361

სამართალწარმოება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: აპელაციის ცნება და მნიშვნელობა; სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა, შეტანის ფორმა და ვადა; სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტილება; სააპელაციო სხდომა; სააპელაციო განაჩენი და შებრუნება; კასაცია; საკასაციო საჩივრის შეტანა; საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა; საკასაციო განაჩენი; საკასაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0250

მტკიცებითი სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მტკიცებულების ცნება და სახეები; დაუშვებელი მტკიცებულება; მოწმის ჩვენება; ნივთიერი მტკიცებულება და სხვა დოკუმენტი; ექვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენება; საგამოძიებო მოქმედების, სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმი; ექსპერტის დასკვნა; პირდაპირი და ირიბი მტკიცებულება; პრეიუდიციები; მტკიცებულებათა შეფასება; შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ; დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლება; ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის იურიდიული ბუნება სისხლის სამართლის პროცესი და მისი მტკიცებულებად გამოყენება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0721

საპროცესო აქტების წარმოება (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საპროცესო აქტის სახეები; საგამოძიებო მოქმედების შედეგების ფიქსაცია ოქმში; საპროცესო აქტების სტრუქტურა; აცილების გაფორმება; სისხლის საპროცესო სამართლებრივი დოკუმენტები; შუამდგომლობისა და საჩივრის გაფორმება; სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება და გამოყოფა; სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება; სასამართლოს დადგენილება (განჩინება); სასამართლოს განაჩენი; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0470

სასჯელაღსრულებითი სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: თავისუფლების აღკვეთის აღსრულება; არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სამართლებრივი რეგულირება; საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის სამართლებრივი რეგულირება; საპყრობილეში სასჯელის მოხდის სამართლებრივი რეგულირება; საპყრობილე, როგორც სასჯელის მოხდის და წინასწარი პატიმრობის აღსრულების ორგანო, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა და მათი ობიექტების დაცვა; სასჯელის აღსრულების ორგანოები და კანონმდებლობები საზღვარგარეთის ქვეყნებში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0350

ორგანიზებული დანაშაული და ტერორიზმი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ორგანიზებული დანაშაულის ცნება; ორგანიზებული დანაშაულის სამართლებრივი ბუნება; ჯგუფური დანაშაული; დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ; რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება; ტერორისტული აქტი; ტექნოლოგიური ტერორიზმი; კიბერტერორიზმი; საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა; ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა და დაფინანსება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინოლოგია.

კურსის კოდი: SLB0340

საერთაშორისო სისხლის სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს : საერთაშორისო სისხლის სამართლის ცნება; საერთაშორისო სისხლის სამართლის და შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის ურთიერთმიმართება; საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით; საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარება; ნიუნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალები; ნიუნბერგის პრინციპების ჩამოყალიბება; ჟენევის 1949 წლის კონვენციები და დამატებითი ოქმები; საერთაშორისო -სამართლებრივი კონვენციები; ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი; რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო

ტრიბუნალი; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი), იურისდიქცია და საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები; რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების შემადგენლობები და გადაწყვეტილებათა აღსრულება; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს ტანამსრომლობის სამართლებრივი საკითხები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II ; საერთაშორისო საჯარო სამართალი.

კურსის კოდი: SLB0100

გამოძიებისა და სასამართლო წარმოების საფუძვლები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წინასასამართლო გამოძიების ცნება და გამოძიების დაწყების საფუძველი; სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილება; საგამოძიებო მოქმედებანი, ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში; აღკვეთის ღონისძიებანი; წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; განაჩენის დადგენა და აღსრულება; სააპელაციო და საკასაციო წარმოება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის პროცესი.

კურსის კოდი: SLB0731

ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ადამიანის ბუნებითი უფლებები; სისხლის სამართლის პროცესის არსი; სამართლიანი სასამართლოს უფლება; ბრალდებულის უფლებათა მინიმალური სტანდარტი; უდანაშაულობის პრეზუმფცია; დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება; უფლება საჯარო სასამართლო პროცესზე; დაცვის უფლება; საქმის განხილვა გონივრულ ვადაში; პიროვნების თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; პატივისა და ღირსების დაცვის უფლება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სისხლის სამართლის პროცესი.